



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მამედ რაჭიმი



მ. რაჭიმი

მამედ რაჭიმი (მამედ რაჭი, აბას-ოღლუ ჰუსეინოვი) (28. IV. 1907, ბაქო, – 6. V. 1977, იქვე), აზერბაიჯანელი პოეტი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი (1947). ავტორია ლექსების კრებულებისა „სურვილი“ (I კრებ., 1930), „მეორე წიგნი“ (1933), „სამშობლოს ტრფიალი“ (1942), „დილის მელოდია“ (1943) და სხვ. მ. რის პოეზიის თემაა შრომითი პეროიკა, პატრიოტიზმი, აქვს სატრფიალო ლექსებიც. II მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი პოეტური ტრილოგიისათვის „ლენინგრადის ცაბე“ მიენიჭა სტალინური პრემია. მასვე ეკუთვნის აგრეთვე პოემები: „აფშერონის მიწაზე“ (1950), „კასპიის ნაპირებზე“, „საიათნოვა“ (1956). თარგმნიდა ქართვ., რუს., აზიელ, სომებ., ევროპელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში.

**გ. შავულაშვილი**